

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება წლიური ანგარიში



სექტემბერი 2016

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

წლიური ანგარიში №1

საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება

ოქტომბერი 2014 - სექტემბერი 2016

პუბლიკაცია გამოიცა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით მისი პროექტის “მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) ფარგლებში. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის პოზიციას.



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

დეტალური ანგარიშისთვის და შეფასებების ახსნისთვის, ასევე ნებისმიერი დამატებითი კითხვის შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს.

კვლევაზე მუშაობდნენ:

გიორგი კლდიაშვილი
თამარ იაკობიძე
ნინო მერებაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: [www.idfi .ge](http://www.idfi.ge)

შესავალი - საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების შესახებ

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტური კანონებისა და პოლიტიკის გატარებას. თუმცა, ეფექტური დიალოგი კერძო და საჯარო სექტორებს შორის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში. მართალია, ჩართულობა მრავალ დონეზე წარმოადგენს გამოწვევას, ის განსაკუთრებით პრობლემურია პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპებზე, სანამ მოხდება ცვლილების ფორმალური ინიცირება პარლამენტში.

საგრანტო პროექტი „საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის კონტროლი საქართველოში“ ხორციელდება IDFI-ის მიერ USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ (G4G) ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავს უპასუხოს ზემოთ აღნიშნულ გამოწვევას. კერძოდ, საგრანტო პროექტის მთავარი მიზანია შეაფასოს ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე კანონპროექტის მომზადების პროცესში.

პირველი წლიური ანგარიშის შედეგები აჩვენებს, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში ეფექტური დიალოგი კერძო და საჯარო სექტორებს შორის უფრო მეტად წარმოადგენს გამოწვევას, ვიდრე წესს.

პირველი წლის კვლევის რამდენიმე ძირითადი მიგნება მდგომარეობს შემდეგში:

- საჯარო პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპებზე ჩართულობის მხრივ პირდაპირი სამართლებრივი ვალდებულებების არარსებობის პირობებში საჯარო სექტორის წარმომადგენლების უმეტესობა ვერ ხედავს კერძო სექტორთან დიალოგის საჭიროებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტების შემთხვევაში, რომელთაც კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის არასაკმარისი ხარისხი აჩვენებს.
- ზოგადად არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების როგორც საჭიროების, ისე საქართველოს რეალობაში მისი პრაქტიკული გამოყენების გააზრება, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე კანონპროექტების შემთხვევაშიც კი. რეგულირების გავლენის სიდრმისეული შეფასების გაკეთების პირდაპირი ვალდებულებების არ არსებობის პირობებში კანონპროექტის მრავალი ავტორი შემოიფარგლება განმარტებითი ბარათებით. თუმცა, განმარტებით ბარათებში მოცემული ინფორმაცია ხშირად მეტისმეტად მწირი და ზედაპირულია, არ არის გამყარებული საჯაროდ ხელმისაწვდომი კვლევებითა და არ ხდება უფრო ფართო საჯარო დისკუსიის ნაწილი კანონპროექტის ინიცირებამდე.

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე წარმატებული შემთხვევების გამოვლენით ჩვენი პროექტის გუნდს აქვს იმედი, რომ ხაზს გაუუსვამთ პოლიტიკის დაგეგმვის ადრეულ ეტაპებზე ეფექტური კონსულტაციის პოზიტიურ გავლენას, და ამგვარად ხელს შეუწყობთ მეტად ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღების პროცესს მმართველობის ყველა ეტაპზე.

1. მეთოდოლოგია

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების ანგარიშის პირველი ვარიანტი მომზადდა IDFI-ის მიერ პროექტის „საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის კონტროლი საქართველოში“ ფარგლებში. ანგარიშში შეფასებულია ჩართულობის ხარისხი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპებზე (კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე). პროექტის მიზანია შეაფასოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის პროცესში.

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება პოლიტიკის შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ ოთხ ეტაპს: **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი, კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი, რეგულირების გავლენის შეფასება და ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან.** თითოეული ეტაპი შეფასებულია 0-დან 10-მდე შკალით. შესაბამისად, ოთხივე ეტაპის შემთხვევაში კერძო-საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხი ფასდება 0-დან 40-მდე შკალით.

- **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი:** ამ ეტაპზე ფასდება შესაბამისი არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების (კერძო სექტორი, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება, მხარე რომელზეც პოლიტიკას პირდაპირი გავლენა აქვს) ან ექსპერტების (პროფესორები, აკადემია, იურისტები, ეკონომისტები, კვლევითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები) შენატანი პოლიტიკის შემუშავების თავდაპირველ პროცესში. ამ ეტაპზე შემუშავებული კონცეფცია საფუძვლად ედება შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებას, თუმცა ამ ეტაპზე დაწყებული არ არის კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა;
- **კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი:** ამ ეტაპზე ფასდება შესაბამისი არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების (კერძო სექტორი, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება, მხარე რომელზეც პოლიტიკას პირდაპირი გავლენა აქვს) ან ექსპერტების (პროფესორები, აკადემია, იურისტები, ეკონომისტები, კვლევითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები) შენატანი კანონპროექტის ტექსტის უშუალო შემუშავებაში;
- **რეგულირების გავლენის შეფასება:** კანონპროექტთან დაკავშირებით რეგულირების გავლენის შეფასების ხარისხის შეფასება.¹
- **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან:** ამ ეტაპზე ფასდება კანონპროექტის ავტორების მცდელობა (i) საჯარო გახადოს და გაავრცელოს დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილება როგორც დაინტერესებულ მხარეებს შორის, ისე ფართო საზოგადოებისთვის (კერძო სექტორი, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება, მხარე რომელზეც პოლიტიკას პირდაპირი გავლენა აქვს და ფართო საზოგადოება); (ii) ასევე ფასდება საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღებისთვის გადადგმული ნაბიჯების შესაბამისობა და ხარისხი.

¹რეგულირების გავლენის შეფასების კომპონენტი შეფასდა 0 ქულით იმ შემთხვევებში, როდესაც კანონპროექტის ავტორის მიხედვით, არ არსებობდა რეგულირების გავლენის შეფასების მომზადების ვალდებულება, რადგან ცვლილება მოიცავდა მხოლოდ რამდენიმე წინადადებას ან სიტყვას. თუმცა, IDFI-ის მიერ G4G-თან მჭიდრო თანამშრომლობით შერჩეულ ყველა კანონპროექტს გააჩნია ან პოტენციურად ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა, შესაბამისად, ჩვენ მივიჩნევთ, რომ რეგულირების გავლენის შეფასების განხორციელება ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, პროექტის გუნდი და G4G შეთანხმდნენ, რომ ასეთი კანონპროექტები შეფასდებოდა 0 ქულით რეგულირების გავლენის შეფასების კომპონენტში.

მეთოდოლოგიაზე მუშაობისას პროექტის გუნდმა გამოიყენა ისეთი წყაროები, როგორცაა *კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის სახელმძღვანელო* (ბენჯამინ ჰერცბერგი და ენდრიუ რაითი), *შესავალი სახელმძღვანელო რეგულირების გავლენის შეფასების გამოყენებაში* (OECD), *რეგულირების გავლენის შეფასება* (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია) და *ევროკავშირის სახელმძღვანელო ზეგავლენის შესაფასებლად*. მეთოდოლოგია მოიცავს ისეთ მეთოდებს როგორცაა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები და ინტერვიუები შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებთან სახელმძღვანელო კითხვარის გამოყენებით.

კანონპროექტებისა და სამართლებრივი ცვლილებების შესაფასებლად IDFI-ის პროექტის გუნდმა გამოიხილა საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებული ყველა კანონპროექტის რეესტრი 2014 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე პერიოდში. საქართველოს პარლამენტიდან რეესტრის მიღების შემდეგ პროექტის გუნდმა გადაარჩია შესაფასებელი კანონპროექტები. შერჩევის კრიტერიუმები იყო ეკონომიკური ზეგავლენის ხარისხი, კანონის ან რეგულაციის მასშტაბი, გრძელ-ვადიანი თუ მოკლე-ვადიანი ზეგავლენა და მხარეები რომელზეც პოლიტიკას პირდაპირი გავლენა აქვს. ცვლილებების შინაარსთან გასაცნობად IDFI-იმ გააანალიზა საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განმარტებითი ბარათები და კანონპროექტები. ანალიზის საფუძველზე თითოეულ კანონპროექტს მიენიჭა ქულა 0-დან 3-მდე (0 - არ აქვს ეკონომიკური ზეგავლენა, 3 - აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენა). ის კანონპროექტები, რომელსაც მიენიჭა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის კატეგორია (3 ქულა), შეფასდა კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის კუთხით. 14 კანონპროექტი შეფასდა პირველადი კვლევისთვის (2014 წლის ოქტომბერი - 2015 წლის სექტემბერი) და 10 კანონპროექტი შეფასდა პირველი წლიური ანგარიშისთვის (2015 წლის ოქტომბერი - 2016 წლის სექტემბერი), ჯამში სულ 24 კანონპროექტი.

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შესაფასებლად პირველ რიგში პროექტის გუნდმა ჩაატარა ინტერვიუები კანონპროექტების ავტორებთან. ინტერვიუებისთვის გამოყენებული იყო წინასწარ მომზადებული სახელმძღვანელო კითხვარი. კითხვარი მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა ინფორმაციის არსებობა მიმდინარე რეფორმის შესახებ, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობის ხარისხი, ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიღებული უკუკავშირის ხარისხი და შედეგი ა.შ. კანონპროექტების ავტორებისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდებოდა მეორადი ინტერვიუები.

მოცემულ გამოცემამდე გავლილია შემდეგი ნაბიჯები:

- გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა საქართველოს პარლამენტში, მოთხოვნით მოეწოდებინა 2014 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე პერიოდში შესული კანონპროექტების რეესტრი;
- მიღებული კანონპროექტები შეფასდა ეკონომიკური გავლენის კუთხით (0-დან 3-მდე ქულით);
- ჩატარდა ინტერვიუები შერჩეული კანონპროექტების ავტორებთან;
- შერჩეულ კანონპროექტებთან დაკავშირებით ჩატარდა მეორადი ინტერვიუები;
- გააანალიზდა ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- ანალიზის შედეგად კანონპროექტების მიენიჭა ქულები კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის მხრივ.

კანონპროექტების რეიტინგი

#	ინიციატორი, ავტორი	დასახელება	სტატუსი	ინიცირების თარიღი	შეფასება				
					ჯამი	პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი	კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი	რეგულირების გავლენის შეფასება	ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან
1.	ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი, ესტონური მოდელი, 07-2/470)	მიღებულია	წლიური 24.03.2016	34	9	8	8	9
2.	სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი (07-2/474)	მიღებულია	წლიური 01.04.2016	30	9	9	3	9
3.	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ნარჩენების მართვის კოდექსი (07-2/262)	მიღებულია	პირველადი კვლევა 23.10.2014	25	5	9	2	9
4.	საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	საქართველოს კანონის პროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ (07-3/468)	არ არის მიღებული	პირველადი კვლევა 22.07.2015	24	7	8	3	6
5.	ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (საფონდო ბირჟა, 07-2/429)	მიღებულია	წლიური 17.12.2015	23	7	7	3	6
6.	ენერგეტიკის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი ნავთობისა და გაზის შესახებ	მიღებულია	პირველადი კვლევა	23	8	5	3	7


		საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ვეროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია, 07-2/346)		04.06.2015					
7.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ვეროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია, 07-2/344)	არ არის მიღებული	პირველადი კვლევა 04.06.2015	21	9	2	1	9
8.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (მცირე წილის მქონე აქციონერების დაცვა, 07-2/447)	მიღებულია	წლიური 29.01.2016	20	8	7	1	4
9.	იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ (07-2/469/8)	მიღებულია	წლიური 24.03.2016	19	5	5	4	5
10.	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ (ტერმინთა განმარტება, ბიზნესის წახალისება, 07-2/345)	მიღებულია	პირველადი კვლევა 04.06.2015	16	9	4	2	1
11.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (არაქართველ მოქალაქეებზე	არ არის მიღებული	პირველადი კვლევა 29.12.2014	16	6	5	1	4

		სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია, 07-2/290)							
12.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (მოვალეებს შეუძლიათ მოითხოვონ რეაბილიტაცია ან გაკოტრება, 07-2/432)	არ არის მიღებული	წლიური 18.12.2015	15	2	6	1	6
13.	იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (გამარტივებული პროცედურები 2015 წლის 1 მარტამდე, 07-2/263)	მიღებულია	პირველადი კვლევა 24.10.2014	13	5	5	1	2
14.	პარლამენტის წევრი ზ. ტყემალაძე	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე (აქციზის გადასახადი მობილურ კომუნიკაციაზე, 07-3/586)	მიღებულია	წლიური 02.06.2016	9	6	1	2	0
15.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (გამარტივებული პროცედურები უცხოელებისთვის საქართველოში უძრავი ქონების ფლობის თაობაზე, 07-2/314)	მიღებულია	პირველადი კვლევა 13.03.2015	9	5	2	1	1

16.	პარლამენტის წევრები მ. მაჭავარიანი და გ. წერეთელი	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (საშემოსავლო გადასახადი და საფოსტო გზავნილები, 07-3/431)	არ არის მიღებული	პირველადი კვლევა 08.04.2015	6	1	1	1	3
17.	პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (გარიგებები უცხოურ ვალუტაში, 07-3/473)	არ არის მიღებული	პირველადი კვლევა 27.08.2015	3	1	0	0	2
18.	პარლამენტის წევრი გ. ფოფხაძე	საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (გამარტივებული პროცედურების გადაწევა 2015 წლის 1 ივლისამდე, 07-3/410)	მიღებულია	პირველადი კვლევა 12.02.2015	2	1	0	1	0
19.	პარლამენტის წევრი გ. წერეთელი	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია, 07-3/542)	უარყოფილია	წლიური 25.02.2016	2	1	0	1	0
20.	საპარლამენტო ფრაქცია თავისუფალი დემოკრატები	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (ჰიბრიდული ავტომანქანები, 07-3/470)	მიღებულია	პირველადი კვლევა 23.07.2015	1	1	0	0	0

21.	ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (ქველმოქმედება, 07-2/259)	მიღებულია	პირველადი კვლევა 23.10.2014	1	0	0	1	0
22.	პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე და გ. მელაძე	საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (შპს-ების/მეწილეების პასუხისმგებლობის შემცირება, 07-3/472)	არ არის მიღებული	პირველადი კვლევა 03.08.2015	1	0	0	1	0
23.	პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე და ი. ხვიჩია	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია, 07-3/535)	არ არის მიღებული	წლიური 28.01.2016	1	0	0	1	0
24.	იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (თავისუფალი/განუკარგავი მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა, 07-2/428)	არ არის მიღებული	წლიური 16.12.2015	1	0	0	1	0

კანონპროექტების რეიტინგი



დანართი 1 - ჩატარებული ინტერვიუები

პირველადი კვლევა - ინტერვიუები				
No	რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	ინიციატორი, ავტორი	სახელწოდება	რესპოდენტი
1	07-3/410 12.02.2015	პარლამენტის წევრი გ.ფოფხაძე	საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ	1. 01.06.2016 გ.ფოფხაძე პარლამენტის წევრი.
2	07-2/263 24.10.2014	საქართველოს მთავრობა, იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ	2. 25.05.2016 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. 3. 22.08.2016 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG).
3	07-2/262 23.10.2014	საქართველოს მთავრობა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ნარჩენების მართვის კოდექსი	4. 11.05.2016 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. 5. 16.08.2016 შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია.
4	07-2/344 04.06.2015	საქართველოს მთავრობა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	6. 02.06.2016 ღვინის ეროვნული სააგენტო.
5	07-2/346 04.06.2015	საქართველოს მთავრობა, ენერგეტიკის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	7. 17.05.2016 ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო. 8. 17.08.2016 ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი 9. 26.08.2016 ენერგეტიკის

				სამინისტრო.
6	07-3/431 08.04.2015	პარლამენტის წევრები მ. მაჭავარიანი და გ. წერეთელი	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (საშემოსავლო გადასახადი და საფოსტო გზავნილები)	10. 04.05.2016 პარლამენტის წევრები გ. წერეთელი
7	07-3/470 23.07.2015	საპარლამენტო ფრაქცია თავისუფალი დემოკრატები	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (ჰიბრიდული ავტომანქანები)	11. 17.05.2016 პარლამენტის წევრები დავით ონოფრიშვილი.
8	07-3/468 22.07.2015	საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	საქართველოს კანონის პროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ	12. 11.05.2016 საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი. 13. 03.06.2016 ევროპის ფონდი 14. 15.06.2016 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) 15. 17.06.2016 საქართველოს ბიზნეს ასოციაცია 16. 20.06.2016 საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 17. 17.08.2016 საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია
9	07-3/473 27.08.2015	პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	18. 17.05.2016 პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე.
10	07-2/345 04.06.2015	საქართველოს მთავრობა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის	საქართველოს კანონის პროექტი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ	19. 17.06.2016 რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

		სამინისტრო		
11	07-3/472 03.08.2015	პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე და გ. მელაძე	საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ	20. 17.05.2016 პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე.
12	07-2/259 23.10.2014	საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ	21. 09.06.2016, ფინანსთა სამინისტრო.
13	07-2/314 13.03.2015	საქართველოს მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	22. 19.07.2016 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 23. 22.08.2016 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG).
14	07-2/290 29.12.2014	საქართველოს მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (არაქართველ მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია)	24. 19.07.2016 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 25. 18.08.2016 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG).

წლიური შეფასება - ინტერვიუები

No	რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	ინიციატორი, ავტორი	სახელწოდება	რესპოდენტი
1	07-3/535 28.01.2016	პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე და ი. ხვიჩია	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (სასოფლო- სამეურნეო მიწების რეგისტრაცია)	1. 17.05.2016 პარლამენტის წევრი ზ. ჯაფარიძე.

2	07-3/542 25.02.2016	პარლამენტის წევრი გ. წერეთელი	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (სასოფლო- სამეურნეო მიწების რეგისტრაცია)	2. 04.05.2016 პარლამენტის წევრი გ. წერეთელი.
3	07-2/469/8 24.03.2016	საქართველოს მთავრობა, იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ	3. 13.05.2016 მმართველობა განვითარებისთვის (G4G). 4. 16.06.2016 BEC. 5. 18.08.2016 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG).
4	07-2/428 16.12.2015	საქართველოს მთავრობა, იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (თავისუფალი/განუკარგავი მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა)	6. 18.08.2016 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG).
5	07-2/429 17.12.2015	საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ	7. 09.06.2016 ფინანსთა სამინისტრო. 8. 30.08.2016 საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
6	07-2/470 24.03.2016	საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (ესტონური მოდელი)	9. 13.05.2016 მმართველობა განვითარებისთვის (G4G). 10. 06.06.2016 ფინანსთა სამინისტრო. 11. 17.06.2016 საქართველოს ბიზნეს ასოციაცია 12. 20.06.2016 პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG) 13. 25.08.2016 საქართველოს ბანკების ასოციაცია (ABG).

7	07-2/432 18.12.2015	საქართველოს მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	14. 24.05.2016 Law Firms Association. 15. 13.05.2016 მმართველობა განვითარებისთვის (G4G). 16. 10.06.2016 დამოუკიდებელი ადვოკატი. 17. 19.07.2016Otar ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 18. 16.08.2016 ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham)
8	07-2/447 29.01.2016	საქართველოს მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (მცირე წილის მქონე აქციონერების დაცვა)	19. 19.07.2016, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
9	07-2/474 01.04.2016	საქართველოს მთავრობა, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი	20. 22.08.2016 საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.
10	07-3/586 02.06.2016	პარლამენტის წევრი ზ. ტყემალაძე	საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე (აქციზის გადასახადი მობილურ კომუნიკაციაზე)	21. 16.08.2016 პარლამენტის წევრი ზ. ტყემალაძე.

დანართი 2 - პირველადი კვლევა (ოქტომბერი 2014-სექტემბერი 2015)

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა

სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში ცვლილებები

2014 წლის მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. აღნიშნული კანონი მოიცავდა რიგ ახალ რეგულაციებს, რომლებიც უარყოფითად იქნა აღქმული მრავალი ექსპერტის მიერ და შეფასებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვნად გამკაცრებული სავიზო რეჟიმი. ახალმა რეგულაციებმა საქართველოში შემოსვლისა და დარჩენის პრობლემები შეუქმნა, როგორც საქართველოში მუდმივად მცხოვრებ ისე საზღვარს გარეთ მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ახალი კანონის მიღების პროცესში დაშვებული შეცდომები აღიარებულ იქნა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.² გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალ კანონში შევიდა არაერთი ცვლილება. ცვლილებების მიზანი იყო ე.წ. „გარდამავალი პერიოდის“ კანონმდებლობით განმტკიცება, იმ უცხოელებისთვის, რომლებმაც ვერ შეძლეს კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ქვემოთ წარმოგიდგინებ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხის შეფასებას უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის ორ ცვლილებასთან დაკავშირებით. პირველი ცვლილების ავტორი საქართველოს პარლამენტის საიტზე მითითებული ინფორმაციის თანახმად იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თუმცა ინტერვიუების დაგეგმვის ეტაპზე პროექტის ანალიტიკოსებმა დაადგინეს, რომ ცვლილების ტექსტზე მუშაობის პროცესს ხელმძღვანელობდა და კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხს უზრუნველყოფდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“. მეორე ცვლილების ავტორია პარლამენტის წევრი გედევან ფოფხაძე.

A1. 07-2/263 უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში ცვლილება (გამარტივებული პროცედურები 2015 წლის 1 მარტამდე)

კანონპროექტის შესახებ

ცვლილებების მიზანი იყო ე.წ. „გარდამავალი პერიოდის“ კანონმდებლობით განმტკიცება იმ უცხოელებისთვის, რომლებმაც ვერ შეძლეს კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნული *inter-alia* გულისხმობდა, რომ საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა ვიზის მოქმედების ვადა დასასრულს უახლოვდებოდა, არ მოუწევდათ ქვეყნის დატოვება და, ნაცვლად ამისა, ექნებოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ ტრანზიტული ვიზა. იმისთვის, რომ შეგვეფასებინა კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხი, IDFI-მ ინტერვიუ ჩაატარა სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლებთან.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 5

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა უზრუნველყოფილ იყო მიგრაციის საკითხებში სახელმწიფო კომისიის მეშვეობით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდა 13 სახელმწიფო უწყების, ისევე როგორც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, თუმცა ეს უკანასკნელნი კომისიაში მხოლოდ

²<http://rustavi2.com/ka/video/262?v=1>

სარეკომენდაციო ფუნქციების ატარებდნენ. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან შეხვედრის მიზნით შეიქმნა სპეციალური მობილური ჯგუფი. გადაწყვეტილების მიმღებები უშუალოდ იყვნენ ჩართული პროცესში. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან კომენტარების მიღება წარმოებდა ზეპირსიტყვიერად. გადაწყვეტილებას კომენტარების მიღების ან უარყოფის შესახებ იღებდა კომისია.

სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციისგან განსხვავებით კომისიის წევრი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ცნობით, ის არ ყოფილა მოწვეული ან ჩართული პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების პროცესში. აღნიშნული აჩენს კითხვის ნიშნებს, იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული არასამთავრობო ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთს იმ მცირერიცხოვან ორგანიზაციებს შორის, რომლებიც სიღრმისეულად მუშაობენ მიგრაციის საკითხებზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი- 5

კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა მიმდინარეობდა კომისიაში. არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ მხოლოდ სარეკომენდაციო სტატუსი და ისინი არ იღებდნენ მონაწილეობას კომენტარების მიღების ან უარყოფის პროცესში. პროცესში უშუალოდ იყვნენ ჩართული მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღებები. სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლების თანახმად, კომენტარების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა.

სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციისგან განსხვავებით, კომისიის წევრი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ცნობით, ის არ ყოფილა მოწვეული ან ჩართული მოცემულ ეტაპზე.

3. რეგულირების გავლენის შეფასება-1

რეგულირების გავლენის შეფასება არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის ახსნა-განმარტებითი ბარათი მოიცავს ცვლილების სახელმწიფო ბიუჯეტზე შესაძლო შეგდების შესახებ ზოგად მონაცემებს.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან -2

კანონპროექტის ტექსტის შემუშავების შემდეგ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა უზრუნველყოფილი იყო სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ ვებგვერდზე ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნებით. საჯარო განხილვები ან შეხვედრები არ გამართულა. კომისიის წევრი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ცნობით, ის არ ყოფილა ჩართული მოცემულ ეტაპზე.

A.2 07-3/410 უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში ცვლილება (გამარტივებული პროცედურების მოქმედების ვადის გახანგრძლივება 2015 წლის 1-ელ ივლისამდე)

კანონპროექტის შესახებ

ცვლილების თანახმად „გარდამავალი პერიოდის“ მოქმედების ვადა გრძელდებოდა და საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეძლეოდათ უფლება ესარგებლათ გამარტივებული პროცედურებით 2015 წლის 1-ელ ივლისამდე.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 1

შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან არ ყოფილა ორგანიზებული. პოლიტიკის ძირითადი მიმართულების იდეა დაიბადა საქართველოში მყოფი უცხოელების პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, „გარდამავალი პერიოდის“ ივნისამდე გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო მაღალ პოლიტიკურ დონეზე, მიგრაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები არ ყოფილან პროცესში ჩართულნი.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 0

კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის პროცესში არ შექმნილა სპეციალური კომისია თუ სამუშაო ჯგუფი. მიგრაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები არ იყვნენ ჩართულნი პროცესში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება -1

რეგულირების გავლენის შეფასება არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის ზოგადი შეფასება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 0

კანონპროექტის ტექსტი გამოქვეყნდა პარლამენტის ვებგვერდზე მხოლოდ მისი ინიცირების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ის ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ინფორმაციის გავრცელება და კომენტარების ეტაპზე კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხის შეფასებისას აღნიშნული არ იქნა მხედველობაში მიღებული, რადგან კანონპროექტი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ მოხდებოდა მისი პარლამენტში ინიცირება.

A.3 07-2/314 საქართველოს კანონის პროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (გამარტივებული პროცედურები უცხოელებისთვის საქართველოში უძრავი ქონების ფლობის თაობაზე, 07-2/314)

კანონპროექტის შესახებ

2014 წლის მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. კანონი მოიცავდა რიგ ახალ რეგულაციებს, რომლებიც ნეგატიურად იქნა აღქმული მრავალი ექსპერტის მიერ და შეფასებულ იქნა, როგორც ახალი რეჟიმი, რომელიც აწესებდა გამკაცრებულ სავიზო რეჟიმს. ახალმა რეგულაციებმა პრობლემები შეუქმნა, როგორც იმ უცხოელებს, რომლებსაც სურდათ საქართველოში შემოსვლა, ისე მათ, ვინც იმყოფებოდა საქართველოში, მათ შორის უძრავი ქონების მფლობელებს. გამკაცრებული სავიზო რეჟიმის შემოღების შედეგები მათ შორის ნეგატიურად აისახა უძრავი ქონების ბაზარზე ბათუმში. შესაბამისად, სახელმწიფომ გადაწყვიტა ჩარეულიყო პროცესში და წარმოედგინა რეგულაციები, რომლებიც წახალისებდა ინვესტიციებს. რეფორმის პროცესს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 5

კანონპროექტის ავტორების თანახმად, პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე კანონპროექტთან დაკავშირებით გაიმართა ათამდე მაღალი დონის შეხვედრა. არ გამართულა ფართო მასშტაბის საჯარო დისკუსიები. კომენტარები და შეხედულებები მიღებულ იქნა ინვესტორებისგან სხვადასხვა ქვეყნიებიდან. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანახმად, კომენტარების უმრავლესობა მხედველობაში იქნა მიღებული. კომენტარების გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა სამინისტროს მიერ. კომენტარების ავტორებს განემარტებოდათ მიღებული გადაწყვეტილება.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განმარტებით, რომელიც აქტიურად მუშაობს მიგრაციის საკითხებზე, ორგანიზაცია კანონპროექტზე მუშაობის პროცესში მხოლოდ მისი პარლამენტში ინიცირების შემდეგ ჩაერთო, იქიდან გამომდინარე, რომ რეფორმის ადრეულ ეტაპზე ისინი არ ყოფილან ინფორმირებული მიმდინარე პროცესების შესახებ.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 2

ინვესტორებისგან მიღებული კომენტარები და იდეები ასახულ იქნა კანონპროექტის ტექსტში. მიუხედავად ამისა, ისინი არ ყოფილან ჩართულნი კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე. მაღალი რანგის საჯარო მოხელეები აქტიურად იყვნენ ჩართული პროცესში.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განმარტებით, რომელიც აქტიურად მუშაობს მიგრაციის საკითხებზე, ორგანიზაცია კანონპროექტზე მუშაობის პროცესში მხოლოდ მისი პარლამენტში ინიცირების შემდეგ ჩაერთო, იქიდან გამომდინარე, რომ რეფორმის ადრეულ ეტაპზე ისინი არ ყოფილან ინფორმირებული მიმდინარე პროცესების შესახებ.

3. რეგულირების გავლენის შეფასება –1

ამომწურავი რეგულირების გავლენის შეფასება არ მომზადებულა და მას არ ჰქონია ვრცელი კვლევითი დოკუმენტის სახე. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის ზოგადი შეფასება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 1

კანონპროექტის საბოლოო ვერსია არ ყოფილა გარვეცლებული დაინტერესებულ მხარეებს შორის. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების თანახმად, საბოლოო ვერსიის გავრცელების საჭიროება არ იყო იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნებოდა, რადგან კანონპროექტის შინაარსი მარტივი, ტექსტი კი მცირე ტანის იყო. მიუხედავად ამისა, კანონპროექტს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განმარტებით, რომელიც აქტიურად მუშაობს მიგრაციის საკითხებზე, ორგანიზაცია კანონპროექტზე მუშაობის პროცესში მხოლოდ მისი პარლამენტში ინიცირების შემდეგ ჩაერთო, იქიდან გამომდინარე, რომ რეფორმის ადრეულ ეტაპზე ისინი არ ყოფილან ინფორმირებული მიმდინარე პროცესების შესახებ.

A.4 07-2/262 ნარჩენების მართვის კოდექსი

კანონპროექტის შესახებ

წლების განმავლობაში საქართველოში არ არსებობდა ნარჩენების მართვის მარეგულირებელი განახლებული საკანონმდებლო აქტი. მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად წარმოჩინდა მსგავსი საკანონმდებლო აქტის მიღების საჭიროება. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, დაერეგულირებინა საკითხი რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებით. მოცემულ საკითხს ითვალისწინებს ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიცირებით დაიწყო ნარჩენების მართვის კოდექსზე მუშაობა. მუშაობა მიმდინარეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის Twinning-ის ფარგლებში.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 4

მოცემულ ეტაპზე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა და საჯარო დისკუსია, თუმცა მათი მიზანი არ იყო მხოლოდ ნარჩენების მართვის პოლიტიკის განხილვა. შეხვედრების დროს დაინტერესებული მხარეები გამოთქამდნენ საკუთარ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ნარჩენების მართვის პოლიტიკაზე. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები იღებდნენ გადაწყვეტილებას კომენტარების გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ. პრობლემის წინასწარი ანალიზის შედეგები არ ყოფილა ხელმისაწვდომი შეხვედრების მონაწილეებისთვის. გადაწყვეტილების მიმღებები არ ყოფილან უშუალოდ ჩართულნი მოცემულ პროცესში.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 9

კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების (REC, CENN, დედამიწის მეგობრები) წარმომადგენლები, ისევე როგორც კერძო ექსპერტები, სულ ექვსი წევრი. სამუშაო ჯგუფის წევრთა ინფორმირება ხორციელდებოდა ელ-ფოსტის საშუალებით. გადაწყვეტილების

მიმღებები არ იყვნენ პროცესში უშუალოდ ჩართულნი. მუშაობის პროცესში სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები იქნა მომზადებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მიღებული კომენტარების გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღებოდა სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო ჯგუფის თითოეულმა წევრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კანონპროექტის ტექსტის ჩამოყალიბებაში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება - 1

რეგულირების გავლენის შეფასება არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის ზოგადი შეფასება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 9

ნარჩენების მართვის კოდექსის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ მისი გავრცელებისა და საზოგადოებისგან კომენტარების მიღების მიზნით გაიმართა 14 საჯარო დისკუსია და რამდენიმე ვიწრო შეხვედრა. დაგეგმილი შეხვედრების/დისკუსიების შესახებ ინფორმაციისადმი წვდომა უზრუნველყოფილი იყო სიახლეების გამოქვეყნების გზით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე, ისევე როგორც სახელმწიფო უწყებათა შენობებში და პირდაპირი მოსაწვევების გაგზავნით. ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისგან მიღებულ იქნა 250-მდე კომენტარი. სამუშაო ჯგუფი აწარმოებდა ყველა კომენტარის აღრიცხვას და იღებდა გადაწყვეტილებას მათი გათვალისწინების ან უარის თქმის შესახებ.

A.5 07-2/344 საქართველოს კანონის პროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია)

კანონპროექტის შესახებ

საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ მიღებულ იქნა 1998 წელს, რის შემდეგაც საქართველომ ხელი მოაწერა არაერთ საერთაშორისო დოკუმენტს. ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ დამატებით წარმოაჩინა საკანონმდებლო აქტის ცვლილების საჭიროება და მისი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. პროექტის ფარგლებში შეფასებული ცვლილების ძირითადი მიზანი იყო ორაზროვანი და ბუნდოვანი რეგულაციებისთვის თავის არიდება და სპეციფიური ტერმინოლოგიის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ქვემოთ წარმოგიდგენთ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხის შეფასებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით 2015 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე. კანონპროექტი ინიცირებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, ხოლო მისი ავტორი, როგორც ეს პარლამენტის ვებგვერდზეა მითითებული, იყო სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების დაგეგმვის პროცესში პროექტის გუნდის მიერ დადგინდა, რომ კანონპროექტი მომზადდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ, რის შემდეგაც სააგენტომ ის შეათანხმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 9

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე ჩართული იყო რამდენიმე მსხვილი ასოციაცია. მოცემულ საკითხზე წელიწადნახევრის განმავლობაში გაიმართა რამდენიმე ათეული მაღალი დონის შეხვედრა. დისკუსიებს ესწრებოდა ყველა დაინტერესებული მხარე (ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები და კერძო მეწარმეები). გადაწყვეტილებას კომენტარების გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ იღებდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. პოლიტიკის ზოგადი

მიმართულებების შემუშავების ეტაპზე მომზადდა საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების დოკუმენტი. პროცესში აქტიურად იყო ჩართული მინისტრის მოადგილე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 2

კანონპროექტი შემუშავდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ. კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არ ყოფილან ჩართულნი სამუშაო ჯგუფში. სააგენტომ კერძო სექტორისგან კომენტარები მიიღო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე და ასახა ისინი კანონპროექტში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება– 1

რეგულირების გავლენის ამომწურავი შეფასება არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის ზოგადი შეფასება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 9

კომენტარების მიღების მიზნით კანონპროექტი გავრცელდა ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან. მიღებული კომენტარები იყო ძალზედ მნიშვნელოვანი და მათ საფუძველზე არაერთი ცვლილება შევიდა კანონპროექტის პირველად ვერსიაში. ყველა დაინტერესებულ მხარეს ეცნობებოდა კანონპროექტში შესული მცირე ცვლილების შესახებაც კი. გადაწყვეტილებას კომენტარების მიღების ან უარყოფის შესახებ იღებდნენ სახელმწიფო უწყებები.

A.6 07-2/346 კანონპროექტი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტით გათვალისწინებულია სამი ცვლილება: (1) პირველი ცვლილების მიზანია ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის წარმოების განმარტებების შეცვლა; (2) მეორე ცვლილებით ლიცენზირების წინაპირობად გაუქმდა 5 წლიანი გამოცდილების ქონის ვალდებულება; (3) ხოლო მესამე ცვლილება შეეხებოდა ბუნებრივი დანაკარგების გადასახადებიდან გამოქვითვის რეგულირებას.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 8

შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა პრობლემების შესახებ პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე, იქიდან გამომდინარე, რომ ცვლილებების ინიციატორები იყვნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები. ამ ეტაპზე შესაბამისი დაინტერესებული მხარეები ჩართულები იყვნენ, როგორც დისკუსიაში, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ფართო საზოგადოებისთვის არ გაკეთებულა საჯარო დისკუსიები ან შეხვედრები. თუმცა, როგორც მთავრობის, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა იყო წარმომადგენლობითი, რადგან სექტორი სპეციფიურია და ვიწროა, ხოლო ექსპერტების რაოდენობა მცირეა. წინასწარი ანალიზი და დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი დისკუსია ნაწილობრივ განხორციელდა თავად კერძო სექტორის მიერ, თუმცა შედეგები არ იყო

საჯაროდ ხელმისაწვდომი. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე ჩართულნი იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები მთავრობიდან. არ შექმნილა კომენტარების განხილვის, ან უარყოფილი კომენტარების დასაბუთების ნათელი პროცესი, თუმცა კერძო სექტორი აქტიურად იყო ჩართული დისკუსიაში ამ ეტაპზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 5

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიხედვით, მათ თავად მოამზადეს კანონპროექტის ტექსტის პირველი ვარიანტი, და შემდგომ მოაწვეეს დისკუსიები ტექსტის შესავსებად. კანონპროექტის დასაწერად არ შექმნილა ოფიციალური სამუშაო ჯგუფი ან კომისია. პრობლემის წინასწარი ანალიზი განხორციელდა პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე და შედეგები ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის. კერძო სექტორის წარმომადგენელი ერთ-ერთი ინიციატორის თანახმად, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები კანონპროექტის ერთ-ერთი ცვლილების შემუშავების პროცესში; თუმცა, ისინი არ ყოფილან ჩართულები საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი კანონპროექტში საკმარისი დასაბუთების გარეშე.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 3

რეგულირების გავლენის ყოვლისმომცველი შეფასება არ განხორციელებულა. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის ანალიზი მოცემულია განმარტებით ბარათში. მომზადდა კანონპროექტის ეკონომიკაზე გავლენის ანალიზი, თუმცა ანალიზის შედეგები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 7

არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისევე როგორც შესაბამისი ლიცენზიის მფლობელებს, ჰქონდათ წვდომა კანონპროექტის საბოლოო ვარიანტზე. დისკუსიები და შეხვედრები ჩატარდა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის. არ ჩატარებულა უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიება ან დისკუსია, სადაც ჩართული იქნებოდა ფართო საზოგადოება. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ საშუალება, დაეტოვებინათ დამატებითი კომენტარები კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე, და კერძო სექტორის მიერ გაკეთდა შესაბამისი კომენტარები. არ არსებობდა მიღებული კომენტარების განხილვის, ან უარყოფილი კომენტარების დასაბუთების ნათელი პროცესი.

A.7 07-3/431 კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე (საშემოსავლო გადასახადი და ამანათები)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მიზანია საშემოსავლო გადასახადის შემცირება 20%-დან 5%-მდე, და დაუბეგრავი მინიმუმის გაზრდა ამანათებზე 300 ლარიდან 500 ლარამდე.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 1

არ ჩატარებულა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, პოლიტიკის იდეაზე მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრები მუშაობდნენ. არსებული პრობლემის შესახებ ინფორმაციის წყაროდ ნახსენები იყო სხვადასხვა შეხვედრები და კვლევები, თუმცა ეს შეხვედრები და კვლევები არ ჩატარებულა კონკრეტულად აღნიშნული კანონპროექტისთვის. არ მომზადებულა რაიმე წინასწარი ანალიზი. არ ჩატარებულა საჯარო დისკუსიები და შეხვედრები.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 1

კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე ჩართულები იყვნენ მხოლოდ პარტიის და პარლამენტის ექსპერტები. არ შექმნილა სამუშაო ჯგუფი ან კომისია. კანონპროექტის ტექსტი შემუშავდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ. მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი კანონპროექტში მიღებული კომენტარების გათვალისწინებით. თუმცა, კომენტარების ავტორები იყვნენ პარტიის წევრები, და განხილვაც პარტიის შიგნით ხდებოდა.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

არ მომზადებულა რეგულირების გავლენის ყოვლისმომცველი შეფასება. ამის მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის მოკლე ანალიზი მოცემულია განმარტებით ბარათში. არ ჩატარებულა ცალკე კვლევა კანონპროექტის ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 3

არ ჩატარებულა საჯარო დისკუსია ან პრეზენტაცია. კანონპროექტის ავტორმა პარლამენტის წევრმა მიიღო რამდენიმე კომენტარი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისგან. თუმცა, პარლამენტის წევრმა ვერ შეძლო კომენტარების ავტორების სახელების დასახელება. გადაწყვეტილებები კომენტარების გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ მიიღებოდა პარტიის შიგნით.

A.8 07-3/470 კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე (ჰიბრიდული ავტომანქანები)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მიხედვით, ტექნიკური დათვალიერება სავალდებულო უნდა იყოს ავტომანქანებისთვის, რომელთა წონაც აღემატება 3 ტონას. ასევე, ჰიბრიდული ავტომანქანების იმპორტზე მოხსნილი იქნება საბაჟო გადასახადი.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 1

შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია არსებული პრობლემების შესახებ პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე. არ ჩატარებულა საჯარო დისკუსიები ან შეხვედრები. დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ ჩართულები დისკუსიაში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არსებული მდგომარეობის ანალიზი ჩატარდა და კერძო სექტორის მიერ მომზადებული გარე ანალიზიც იქნა გათვალისწინებული, თუმცა ავტორებთან დამატებითი კონსულტაციები არ გამართულა.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 0

კანონპროექტი მომზადდა ზემოთაღნიშნული კვლევების გათვალისწინებით. შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არ ყოფილა.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 0

არ მომზადებულა რეგულირების გავლენის ყოვლისმომცველი შეფასება. არ ყოფილა ნახსენები ცალკე ფინანსური ანალიზი (მაგ. შიდა ანალიზი). განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტს არ აქვს გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

კანონპროექტის განსახილველად არ ჩატარებულა შეხვედრები ან დისკუსიები. კანონპროექტის ავტორი პარლამენტის წევრი ვერ ხედავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საჭიროებას კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე. ამასთან, ავტორის მიხედვით, კანონპროექტის მომზადების შემდეგაც არ იქნებოდა გათვალისწინებული ისეთი კომენტარები, რაც შეუსაბამოა მოვიდოდა კანონპროექტთან.

A.9 07-3/468 კანონპროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ

კანონპროექტის შესახებ

მომხმარებლების უფლებების დაცვის წინა კანონი გაუქმდა 2012 წელს, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოების კოდექსი. მოგვიანებით, 2013 წელს ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დაიწყო მუშაობა მომხმარებლის უფლებების დაცვის ახალ კანონპროექტზე.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 8

შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა პრობლემების განხილვაზე პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების საწყის ეტაპზე. მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიები, რასაც მოჰყვა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფის შექმნა. ასევე, კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე მოეწყო საჯარო პრეზენტაცია, რომელიც კარგად გაშუქდა მედიაში. სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც დისკუსიაში, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიღებული არგუმენტების განხილვისა და დასაბუთების პროცესი ნათელი იყო. კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე ჩატარდა პრობლემის ანალიზი. სამუშაო ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ სამუშაო ვიზიტში, რომლის მიზანიც იყო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა. ყველაზე დიდი დანაკლისი იყო ბიზნეს სექტორის არასაკმარისი ჩართულობა. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მოწვეულნი იყვნენ დასაწყისიდანვე, თუმცა იმის გამო, რომ მათთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ინიცირებული ცვლილებები, მათ უარი განაცხადეს მონაწილეობაზე. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ჩართულობა მეტად შეიძლებოდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 8

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობდა კანონპროექტის ტექსტზე. სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც დისკუსიაში, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიღებული არგუმენტების განხილვისა და დასაბუთების პროცესი ნათელი იყო. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე ჩატარდა პრობლემის ანალიზი. წინა ეტაპის მსგავსად, ამ ეტაპზეც მთავარი დანაკლისი მდგომარეობდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ჩართულობის ნაკლებობაში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება - 3

რეგულირების გავლენის ყოვლისმომცველი შეფასება არ ჩატარებულა. მომზადდა მოკლე შიდა ანალიზი, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტს გააჩნია გარკვეული გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე. განმარტებით ბარათში მოცემულია გავლენის ხარისხის მცირე ახსნა.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 6

კანონპროექტის შემუშავების წინა ეტაპებზე გამოვლენილ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა კანონპროექტის საბოლოო ვარიანტზე, პარლამენტში ინიცირებამდე. ჩატარდა საჯარო პრეზენტაცია და დისკუსია. ამ ეტაპზე არ არსებობდა მიღებული კომენტარების განხილვის ნათელი პროცესი. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ ეტაპზე, ზოგმა მათგანმა მოამზადა დამატებითი წერილობითი კომენტარები, თუმცა სამუშაო ჯგუფის მიერ მათი გათვალისწინება არ მომხდარა.

A.10 07-3/473 კანონპროექტი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (საქართველოში უცხოურ ვალუტით გადახდა)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის იდეის თანახმად, საქართველოში უნდა დაწესდეს ვალუტისგან თავისუფალი რეჟიმი, სადაც ქართული ლარი არ იქნება ერთადერთი ვალუტა. იდეა გამომდინარეობს ლიბერტარიანული პრინციპებიდან და მას მხარს უჭერს პოლიტიკური მოძრაობა „გირჩი“.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 1

ავტორის მიხედვით, მან გაიარა კონსულტაციები გარე ექსპერტებთან. თუმცა, აღნიშნული ექსპერტებიდან ოთხმა არ დაადასტურა მონაწილეობა. არ ჩატარებულა კერძო სექტორთან რაიმე სახის ფორმალური კონსულტაციები. წინასწარი ანალიზი ან პოლიტიკის დოკუმენტი არ მომზადებულა.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 0

კანონპროექტის წერის პროცესში არ ყოფილა რომელიმე დაინტერესებული მხარის ჩართულობა. პარლამენტის წევრმა აღნიშნა, რომ არ ყოფილა ჩართულობის საჭიროება, რადგან ცვლილების ტექსტი მარტივი იყო. მიუხედავად ამისა, კანონპროექტს ექნებოდა მნიშვნელოვანი გავლენა.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 0

რეგულირების გავლენის შეფასება არ ჩატარებულა. არ ყოფილა ნახსენები ცალკე ფინანსური ანალიზი (მაგ. შიდა ანალიზი). განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტს გააჩნია გარკვეული გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე, თუმცა არ არის ახსნილი, თუ რა სახის გავლენა.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 2

მოცემული კანონპროექტისთვის არ ჩატარებულა შეხვედრები ან დისკუსიები, თუმცა იყო დისკუსიები სხვადასხვა ჯგუფებთან წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში. არ ყოფილა მიღებული კომენტარების განხილვის ნათელი პროცესი.

A.11 07-2/345 საქართველოს კანონის პროექტი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ (ტერმინთა განმარტება, ბიზნესის წახალისება)

კანონპროექტის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ - ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ - ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს სპეციალურ შეღავათებს. მოცემული კანონპროექტის მიღებამდე კანონით დადგენილ მაღალმთიან რეგიონთა ჩამონათვალი იყო ვიწრო და არ ფარავდა ყველა იმ რეგიონს, რომელიც გეოგრაფიული ნიშნით ხვდება მაღალმთიანი რეგიონის კატეგორიაში. ამასთან, არასაკმარისი იყო კანონით დადგენილი პრივილეგიები. შესაბამისად, კანონპროექტი მიზნად ისახავდა ახალი რეგულაციების შემოღებას, რომლებიც დაადგენდა ეფექტურ სოციალურ-ეკონომიკურ პრივილეგიებს და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 9

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე შეიქმნა მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სპეციალური სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ დარგის ექსპერტები. მასში არ ყოფილან წარმოდგენილნი სამოქალაქო საზოგადოების თუ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მანდატს წარმოადგენდა მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ ზოგადი კონცეფციის შემუშავება. გაიმართა რამდენიმე ათეული შეხვედრა და დისკუსია საქართველოს ყველა მაღალ მთიან რეგიონში. შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე. ადგილობრივი მოსახლეობისგან, მათ შორის მცირე მეწარმეებისგან, მიღებულ იქნა ათობით კომენტარი. გადაწყვეტილებას კომენტარების გათვალისწინების შესახებ იღებდა სამუშაო ჯგუფი. მოცემული ეტაპის დასასრულს სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ძირითადი კონცეფცია.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 4

კანონპროექტის ტექსტის შემუშავება მიმდინარეობდა უწყებათშორის სამუშაო ჯგუფში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ექსპერტები და საჯარო მოხელეები. გადაწყვეტილება რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ მიღებულ იქნა მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ. მოცემულ ეტაპზე შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა სამინისტროებთან და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. პროცესში არ ყოფილა ჩართული სამოქალაქო საზოგადოება. არ გამართულა ფართომასშტაბიანი საჯარო დისკუსიები. მთავრობის დონეზე კანონპროექტის პირველადმა ტექსტმა გაიარა დამტკიცების რამდენიმე ეტაპი. კომენტარების მიღების პროცესი კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე არ ყოფილა უზრუნველყოფილი.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 2

რეგულირების გავლენის ამომწურავი შეფასება არ მომზადებულა. რესპოდენტის განმარტებით, არ არსებობდა კანონპროექტის შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური გავლენის შეფასების საჭიროება იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული დროისთვის მაღალმთიან რეგიონებში ბიზნესი არ იყო განვითარებული. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის ტექსტი შეთანხმებულ იქნა საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან. უწყებათა დასკვნები არ ყოფილა საჯაროდ ხელმისაწვდომი. კანონპროექტის სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის ზოგადი შეფასება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 1

კომენტარების მიღების მიზნით კანონპროექტი არ გავრცელებულა დაინტერესებულ მხარეებს შორის. მისი ავტორების თქმით კანონპროექტის გავრცელების საჭიროება არ არსებობდა, რადგან რეფორმის კონცეპტუალური მიმართულებების შესახებ კერძო სექტორთან შეთანხმება თავიდანვე იყო მიღწეული.

A.12 07-2/259 კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე (ქველმოქმედება)

კანონპროექტის შესახებ

მოცემულ საკანონმდებლო პაკეტში ორი ცვლილება იყო. პირველი ცვლილების იდეა მდგომარეობდა იმ საქველმოქმედო ორგანიზაციების ან ადამიანების გათავისუფლება გადასახადებისგან, რომლებიც იღებენ ფინანსურ დახმარებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მეორე ცვლილება შეეხებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) დაბეგრას. სახელმწიფო სსიპ-ები ვალდებულნი არიან გაუწიონ სახელმწიფოს გარკვეული მომსახურება საფასურის გარეშე, მაგ. „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“. ამ მომსახურებას გააჩნია საბაზრო ღირებულება, თუმცა, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ასეთი საქმიანობა არ იყო მიჩნეული ეკონომიკურ აქტივობად, შესაბამისად, სსიპ-ი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოეყვითა დანახარჯი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამონაკლისი იქნა დაშვებული.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 0

ცვლილების იდეის ინიციატორი იყო სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული სსიპ „სოლიდარობის ფონდი“. კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობა არ იქნა მიჩნეული აუცილებლად და, შესაბამისად, არ ყოფილა.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 0

ფინანსთა სამინისტრო მუშაობდა კანონპროექტის ტექსტზე. კანონპროექტის განხილვა მოხდა მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ სსიპ „სოლიდარობის ფონდთან“.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

რეგულირების გავლენის ყოვლისმომცველი შეფასება არ ჩატარებულა. არ ყოფილა ნახსენები ცალკე ფინანსური ანალიზი (მაგ. შიდა ანალიზი). განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტს გააჩნია გარკვეული ზეგავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

კანონპროექტის გარშემო არ ჩატარებულა საჯარო დისკუსიები. შესაბამისი დაინტერესებული მხარეები არ ყოფილან მოწვეულნი ან ჩართულნი პროცესში.

A.13 07-3/472 საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (შპს-ების/მეწილეების პასუხისმგებლობის შემცირება)

კანონპროექტის შესახებ

ცვლილებების საჭიროება წარმოშვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) მეწილეები ვერ იქნებოდნენ სოლიდალურად და საკუთარი ქონებით პასუხისმგებელნი შპს-ს პასივებზე. შესაბამისად, ცვლილებათა ავტორებმა საქართველოს პარლამენტში დაარეგისტრირეს კანონის პროექტი, რომლის ძალითაც გაუქმდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული კანონის მუხლი. ცვლილების ავტორი იყო პოლიტიკური მოძრაობა „გირჩი“, თუმცა თავად იდეა ინიცირებულ იყო კერძო მეწარმეთა მიერ.

ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგი არ შემდგარა პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების, კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის თუ ინფორმაციის გავრცელებისა და კომენტარების მიღების ეტაპზე. რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტზე საუბრისას კი ავტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ იყო მსგავსი დოკუმენტის მომზადების საჭიროება.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 0

კერძო მეწარმეებთან, ბიზნეს ასოციაციებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჯარო დისკუსია ან შეხვედრა არ გამართულა.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 0

კანონპროექტის ავტორების მიერ არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის უზრუნველსაყოფად. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კანონპროექტის ტექსტზე მუშაობდნენ პოლიტიკური მოძრაობის წევრები, რომელთაც აქვთ კანონის პროექტის ტექსტების შემუშავების გამოცდილება.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

რეგულირების გავლენის ამომწურავი შეფასება არ მომზადებულა. კანონპროექტის ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ პროექტი არ იქონიებს უარყოფით გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტზე.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

პოლიტიკური მოძრაობა - „გირჩის“ იურისტების მიერ კანონპროექტის ტექსტის მომზადების შემდეგ არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი პროექტის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობისა და კომენტარების მიღების მიზნით. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, ტექსტი ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისთვის და კანონპროექტზე გაიმართა ღია დებატები. თუმცა, აღნიშნულს მხოლოდ მისი პარლამენტში ინიცირების შემდეგ ჰქონდა ადგილი.

დანართი 3 – წლიური შეფასება (ოქტომბერი 2015-სექტემბერი 2016)

კანონპროექტები მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის შესახებ

მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია წლებია წარმოადგენს პრობლემურ საკითხს საქართველოში. არაერთი ადგილობრივი მოსახლე წლების განმავლობაში ცდილობდა დაერეგისტრირებინა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მამა-პაპისეული მიწის ნაკვეთები, თუმცა ვერ ადასტურებდნენ საკუთრების უფლებას შესაბამისი დოკუმენტების არ არსებობის გამო. აღნიშნულის მიზეზს, სხვათა შორის, წარმოადგენს ისიც, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში განადგურდა აღნიშნული დოკუმენტების შემნახველი ადგილობრივი არქივები. შესაბამისად, ცხადი იყო არსებული კანონმდებლობის შეცვლის საჭიროება, რათა ის შესაბამისობაში ყოფილიყო არსებულ მდგომარეობასთან. ამასთან, ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მინიჭების საკითხი. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნულ საკითხებზე პარლამენტში არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა შევიდა. ცხადია, რომ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხი უმნიშვნელოვანესია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც საქართველოში ინვესტირებით არიან დაინტერესებულნი. მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის რეფორმაზე მუშაობისას ძალზედ მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა და მათი მოსაზრებების მოსმენა. მოცემული ანგარიში შეიცავს მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხის შეფასებას რამდენიმე ინიციატივასთან დაკავშირებით, კერძოდ: 1. იუსტიციისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების მიერ მომზადებული კანონპროექტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთების საკუთრებასთან დაკავშირებით, 2. ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ ინიცირებული კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ენიჭება უფლებამოსილება, საკუთარ ბალანსზე დაირეგისტრიროს თავისუფალი მიწის ნაკვეთები; 3. საქართველოს კანონის პროექტი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, რომლის ის ნაწილიც, რომელიც მიწის ნაკვეთებზე სისტემური რეგისტრაციის საკითხს არეგულირებს, მომზადებულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით; 4. საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურების შესახებ; 5. კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინიცირებული დეპუტატის მიერ, რომელიც ადგენს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის გამარტივებულ და ნაკლებად ძვირადღირებულ პროცედურებს.

A.1 07-2/290 საქართველოს კანონის პროექტი საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (არაქართველ მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მთავარი მიზანია, დაარეგულიროს შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ექნებათ საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე საქართველოში. კანონპროექტის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აღნიშნული უფლება წარმოეშობათ, თუ მათ მიწის ნაკვეთი მიიღეს მემკვიდრეობით, თუკი ისინი იმყოფებიან ქორწინებაში საქართველოს

მოქალაქესთან ან თუ ისინი ფლობენ ბინადრობის ნებართვას საქართველოში. იმისთვის, რომ მიგველო ინფორმაცია კანონპროექტის მომზადების პროცესის შესახებ, IDFI-მ ინტერვიუ ჩაატარა მის ავტორებთან ისევე, როგორც იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც სიღრმისეულად მუშაობენ მიწის ნაკვეთთა საკუთრების საკითხებზე.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 6

იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში ამავე მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა სპეციალური მიწის საბჭო, რომელიც კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე მუშაობდა პროცესის დასაწყისიდანვე. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოში მოწვეულნი იყვნენ ასევე სპეციალისტები და ექსპერტები სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. საბჭოს ფარგლებში გადაწყვეტილებები მიიღებოდა კონსენსუსის გზით. იუსტიციის მინისტრი უშუალოდ იყო ჩართული პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე. მომზადდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიწის საკუთრების საკითხზე. მიუხედავად ზემოთქმულისა, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ცვლილებები შემუშავდა დროის მცირე მონაკვეთში და ისინი არ ყოფილან ინფორმირებულნი პროცესის შესახებ. შესაბამისად, ისინი არ ყოფილან ჩართულნი პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შემუშავების თუ კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის ეტაპებზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 5

პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ეტაპზე მიღებული კომენტარების გათვალისწინებით კანონპროექტის პირველი სამუშაო ვერსია მომზადდა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში. აღნიშნული ვერსია შემდგომ გავრცელდა საბჭოს სხდომაზე მის წევრებს შორის. საბჭოს წევრებისთვის კანონპროექტის სამუშაო ვერსია არ ყოფილა სხდომაზე შეკრებამდე ხელმისაწვდომი. დისკუსიების შედეგად კანონპროექტმა განიცადა მრავალი ცვლილება. მსგავსად პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპისა, ამ შემთხვევაშიც, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ცვლილებები შემუშავდა დროის მცირე მონაკვეთში და ისინი არ ყოფილან ინფორმირებულნი პროცესის შესახებ. შესაბამისად, ისინი არ ყოფილან ჩართულნი პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შემუშავების თუ კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის ეტაპებზე.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

ამომწურავი რეგულირების გავლენის შეფასება არ მომზადებულა და მას არ ჰქონია ვრცელი კვლევითი დოკუმენტის სახე. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის ზოგადი შეფასება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 4

კანონპროექტი გავრცელებულ იქნა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, თუმცა ის არ ყოფილა ხელმისაწვდომი მათთვის განხილვამდე რამდენიმე დღით ადრე. გადაწყვეტილებას კომენტარების მიღების ან უარყოფის შესახებ იღებდნენ კანონპროექტის ავტორები. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ იქნა აზრი, რომ ისინი არ ყოფილან ჩართულნი მოცემულ ეტაპზე.

A. 2 07-2/428 10. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (სახელმწიფო საკუთრების უფლების დარეგისტრირება თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე)

კანონპროექტის შესახებ

2015 წლის განმავლობაში საჯარო და კერძო სექტორი აქტიურად თანამშრომლობდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხზე სხვადასხვა ცვლილების ჩამოყალიბების პროცესში. იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ იქნა მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი კანონპროექტი, რომელთა თანახმადაც საქართველოს შერჩეულ რეგიონებში მოხდებოდა განუკარგავი მიწის ნაკვეთების სრული პრივატიზაცია სისტემური დაფარვის გზით. აღნიშნული მოვლენების ფონზე, როდესაც არსებობდა პარლამენტში მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის შესახებ კანონპროექტის ინიცირების მოლოდინი, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ექნებოდა უფლება საკუთარ ბალანზე დაერეგისტრირებინა „თავისუფალი“ (განუკარგავი) მიწის ნაკვეთები. სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოქვეყნდა არაერთი კრიტიკული სტატია აღნიშნული პროცესის შესახებ. შესაბამისად, ცხადია, რომ მოცემული კანონპროექტის შემუშავების არცერთ ეტაპზე არ ყოფილა უზრუნველყოფილი კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგი.

IDFI არაერთხელ შეეცადა ჩაეტარებინა ინტერვიუ საჯარო რეესტრის შესაბამის წარმომადგენელთან თუმცა ის თავს არიდებდა ჩვენთან შეხვედრას.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 0

საჯარო დისკუსია არ გამართულა. შესაბამისი დაინტერესებული მხარეები არ ყოფილან ჩართულნი პროცესში.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 0

კანონპროექტი მომზადდა საჯარო რეესტრის მიერ. შესაბამისი დაინტერესებული პირები არ ყოფილან მოწვეულნი და ჩართულნი აღნიშნულ პროცესში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება - 1

რეგულირების გავლენის შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, განმარტებითი ბარათი შეიცავს ზოგად ინფორმაციას კანონპროექტის ბიუჯეტზე შესაძლო გავლენის შესახებ.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

მოცემულ ეტაპზე არ მომხდარა შესაბამისი დაინტერესებული პირების მოწვევა თუ ჩართვა. კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა არც ფართო საზოგადოებიდან კომენტარების მიღების მიზნით.

A.3 07-2/469/8 საქართველოს კანონის პროექტი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“

კანონპროექტის შესახებ

საწყისი ეტაპიდან G4G ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის პროცესში მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის თემაზე მუშაობისას. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებული კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტი დასათაურებულ იქნა, როგორც კანონპროექტი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტს დაუმატა დებულებები, რომლებიც არეგულირებდა მიწის ნაკვეთების სპორადული დარეგისტრირების საკითხებს. კანონპროექტის იმ ნაწილზე, რომელიც სპორადული რეგისტრაციის საკითხებს არეგულირებდა, არ გამართულა რაიმე სახის საჯარო დისკუსია თუ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგი. კანონპროექტის იმ ნაწილის განხილვა, რომელიც სპორადული რეგისტრაციის საკითხებს არეგულირებს, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისი პარლამენტში რეგისტრაციის შემდეგ.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 5

საჯარო დისკუსიები და შეხვედრები გაიმართა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავდა პოლიტიკის განვითარების სავარაუდო მიმართულებებს. კერძო სექტორი, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულნი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ EPAC წევრი ორგანიზაციებიც. პროცესში გარანტირებული იყო კერძო სექტორის ჩართულობა. როგორც წესი, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, ე.ი. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები და ინდივიდუალური მეწარმეები, ესწრებოდნენ საჯარო დისკუსიებს. პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე მომზადდა ყოვლისმომცველი დოკუმენტი არსებული პრობლემების ანალიზისა და მისი გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ. დოკუმენტი გაზიარებულ იქნა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების ჩამოყალიბების შემდეგ შემუშავდა სამართლებრივი სტრატეგია. მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოაღნიშნული ეხება კანონპროექტის იმ ნაწილს, რომელიც მიწის ნაკვეთების სისტემურ რეგისტრაციას ეხება მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი არეგულირებდა, როგორც მიწის ნაკვეთების სისტემურ, ისე სპორადული რეგისტრაციის საკითხებს. მიწის ნაკვეთების სპორადული რეგისტრაციის ნაწილში კანონპროექტი მომზადებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 5

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე მომზადდა სპეციალური სამართლებრივი სტრატეგია, რომელიც მოიცავდა იმ საკითხებს, რა მიმართულებითაც აუცილებელი იყო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება. კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა სწორედ რომ აღნიშნულ დოკუმენტს ეყრდნობოდა. კანონპროექტის ტექსტზე მუშაობდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. მოცემულ ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების ინფორმაციისადმი წვდომა და პროცესში ჩართულობა. მიუხედავად ამისა, კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგი არ გამართულა კანონპროექტის იმ ნაწილზე, რომელიც მიწის ნაკვეთების სპორადულ რეგისტრაციას ეხებოდა. მიწის ნაკვეთების სპორადული რეგისტრაციის ნაწილში კანონპროექტი მომზადებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 4

რეგულირების გავლენის შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი კანონპროექტის მიღებამდე არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკის ზოგადი მიმართულების შემუშავების ეტაპზე

მომზადდა სისტემური რეგისტრაციის შესაძლო ეკონომიკური გავლენის ზოგადი შეფასება. ამასთან, განმარტებითი ბარათი შეიცავს ზოგად ინფორმაციას კანონპროექტის ბიუჯეტზე შესაძლო გავლენის შესახებ.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 5

კანონპროექტის შემუშავების შემდეგ მისი ძირითადი მიმართულებები გაზიარებულ იქნა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან. კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგი უზრუნველყოფილ იქნა კანონპროექტის იმ ნაწილზე, რომელიც მიწის ნაკვეთების სისტემურ რეგისტრაციას ეხებოდა. დიალოგი არ გამართულა კანონპროექტის იმ ნაწილზე, რომელიც მიწის ნაკვეთების სპორადულ რეგისტრაციის საკითხებს არეგულირებდა. მოცემული ნაწილი მომზადებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში.

A.4 07-3/535 9. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის შესახებ, პარლამენტის წევრი ზურაბ ჯაფარიძე)

კანონპროექტის შესახებ

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტში ინიცირებულ იქნა 2016 წლის იანვარში პარლამენტის წევრის - ზ. ჯაფარიძის მიერ. ცვლილების ძირითად არსს წარმოადგენდა იმ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დარეგისტრირების პროცესის გამარტივება, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ მფლობელობაში. IDFI-მ ინტერვიუ ჩაატარა კანონპროექტის ავტორთან იმისთვის, რომ შეესწავლა კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხი კანონპროექტის მომზადების პროცესში.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 0

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე არ გამართულა რაიმე სახის დისკუსიები თუ საჯარო შეხვედრები. რესპონდენტის თანახმად, კანონპროექტის იდეა დაიბადა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო მიწის ნაკვეთების საკუთარ ბალანსზე დარეგისტრირება, შესაბამისად, აუცილებელი იყო სწრაფი რეაგირება.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 0

კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე ჩართულნი იყვნენ საკითხის ექსპერტები პოლიტიკური პარტიიდან. პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ გარე ექსპერტებს თუ დაინტერესებულ მხარეებს. არ ყოფილა შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი თუ კომიტეტი, რომელიც კანონპროექტის ტექსტზე იმუშავებდა. ინიციატივის ავტორები არ დაკავშირებანიან კომენტარებისა და მოსაზრებების მისაღებად არასამთავრობო ორგანიზაციებს თუ ბიზნეს ასოციაციებს.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

რეგულირების გავლენის შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, განმარტებითი ბარათი შეიცავს ზოგად ინფორმაციას კანონპროექტის ბიუჯეტზე შესაძლო გავლენის შესახებ.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

კანონპროექტზე დებატები გაიმართა მხოლოდ მისი პარლამენტში ინიცირების შემდეგ. კანონპროექტი არ გავრცელებულა ფართო საზოგადოებაში კომენტარებისა და მოსაზრებების მიღების მიზნით.

A.5 07-3/542 „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის შესახებ, პარლამენტის წევრი გიგი წერეთელი)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა 2016 წლის თებერვალს. მისი ავტორია პარლამენტის დეპუტატი გ. წერეთელი. ცვლილების შემუშავების პროცესში კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების მიზნით IDFI-მ ინტერვიუ ჩაატარა მის ავტორთან.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 1

დეპუტატმა ჩაატარა შეხვედრები ამომრჩეველთან, ძირითადად ფიზიკურ პირებთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. არ გამართულა რაიმე სახის საჯარო დისკუსია თუ შეხვედრა ბიზნეს სექტორის მონაწილეობით. კომენტარები კეთდებოდა მხოლოდ ზეპირი სახით და ისინი მოდიოდა ფიზიკური პირებიდან. კომენტარების გათვალისწინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა თავად დეპუტატი.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 0

კანონპროექტის ტექსტის შემუშავების მიზნით არ ჩამოყალიბებულა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. ცვლილების ტექსტი მომზადდა პოლიტიკური მოძრაობის შიგნით.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

რეგულირების გავლენის შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, განმარტებითი ბარათი შეიცავს ზოგად ინფორმაციას კანონპროექტის ბიუჯეტზე შესაძლო გავლენის შესახებ.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

კანონპროექტი არ გავრცელებულა ფართო საზოგადოებასა თუ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კომენტარებისა და მოსაზრებების მიღების მიზნით.

A.6 07-2/429 ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საფონდო ბირჟა)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მიზანი იყო საფონდო ბირჟაზე ქართული საწარმოების მონაწილეობის ხელშეწყობა. დისკუსიის დროს ერთ-ერთმა წამყვანმა ბანკმა მიმართა ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს კითხვით: დაიბეგრებოდა თუ არა კომპანიის მონაწილეობა საფონდო ბირჟაზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არსებულ კანონმდებლობაში არ არსებობს ნათელი განმარტება ამგვარი შემთხვევის შესახებ, და შესაძლოა წარმოქმნილიყო დავა. შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საკანონმდებლო ცვლილების შესახებ.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 7

შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ ინფორმაცია პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე, რადგან ცვლილების ინიციატორი იყო ერთ-ერთი კომპანია. შესაბამისი დაინტერესებული მხარეები ჩართულები იყვნენ, როგორც დისკუსიაში, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ ეტაპზე. თუმცა, არ ყოფილა ჩატარებული საჯარო დისკუსიები ან შეხვედრები. ამ ეტაპზე ჩართულები იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელისუფლებიდან. კერძო სექტორს ჰქონდა კომენტარების გაკეთების საშუალება. როგორც კერძო სექტორის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ ცვლილება ვიწრო იყო და ეხებოდა იმ დროისთვის მხოლოდ სამ კომპანიას, თუმცა დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა ნებისმიერი სხვა კომპანიისთვის, რომელიც საფონდო ბირჟაზე მონაწილეობას გადაწყვეტდა. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ჩაატარეს პრობლემის წინასწარი ანალიზი. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა დოკუმენტზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 8

შესაბამისი დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყვნენ ჩართულები კანონპროექტის წერისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანონპროექტის პირველი ვერსია მომზადდა კერძო სექტორის მიერ. ჩატარდა პრობლემის წინასწარი ანალიზი, ნაწილობრივ კერძო სექტორის მიერ. შესაბამისი დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა ანალიზზე, რომელიც მომზადდა კანონპროექტის წერის ეტაპზე. კანონპროექტის წერის პროცესში ჩართულები იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელისუფლებიდან. კანონპროექტის წერისთვის არ შექმნილა ფორმალური კომისია ან სამუშაო ჯგუფი, თუმცა არაფორმალურად უზრუნველყოფილი იყო კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა. გადაწყვეტილებები კომენტარების გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ მიიღებოდა კონსენსუსის გზით.

3. რეგულირების გავლენის შეფასება - 3

რეგულირების გავლენის სიღრმისეული შეფასება არ ჩატარებულა. მომზადდა ფინანსური ანალიზი, თუმცა დოკუმენტი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტს გააჩნია გარკვეული ზეგავლენა ბიუჯეტზე, თუმცა გავლენის ხარისხი არ არის დაზუსტებული. როგორც კერძო სექტორის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ეს ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოს.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 6

კანონპროექტის მომზადების წინა ეტაპებზე გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა კანონპროექტის საბოლოო ვერსიაზე, და ჰქონდათ საშუალება გაეკეთებინათ დამატებითი კომენტარები, კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე. საჯარო დისკუსიები ან შეხვედრები არ

ჩატარებულა. როგორც კერძო სექტორის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ ცვლილება ვიწრო იყო და ეხებოდა იმ დროისთვის მხოლოდ სამ კომპანიას. ერთ-ერთ მიზეზად, რატომაც არ ჩატარებულა დამატებითი დისკუსიები, დასახელდა დროის ნაკლებობა. ფართო საზოგადოებას (არა მხოლოდ იმ დაინტერესებულ მხარეებს, ვინც გამოვილინა ადრეულ ეტაპებზე) არ ჰქონდათ წვდომა კანონპროექტის საბოლოო ვერსიაზე პარლამენტში ინიცირებამდე.

A.6 07-2/470 ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში (კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი ე.წ. ესტონური მოდელი)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მიხედვით, თავდაპირველად რეფორმა მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ), რომელიც მოიხსნება ფიქსირებულ აქტივებში იმპორტირების შემთხვევებში. რეფორმის შემდეგ ეტაპებზე კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი შეეხება განაწილებულ მოგებას, ისევე როგორც ფინანსურ შუამავლებს. ზოგადად, კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი გულისხმობს გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებას.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 9

შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ ინფორმაცია პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპის შესახებ. ამ ეტაპზე ჩართულები იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები მთავრობიდან. პოლიტიკის კონცეფციის გარშემო ჩატარდა საჯარო განხილვები. პროცესში ჩართულები იყვნენ ბიზნეს ასოციაციები, აუდიტორული კომპანიები და სხვა კომპანიები. პოლიტიკის ალტერნატივების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მიმდინარეობდა ფინანსთა სამინისტროს შიგნით. ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა პრობლემის წინასწარი ანალიზი. ამას გარდა, ჩატარდა სასწავლო ვიზიტები ესტონეთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ხელისუფლების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. თავდაპირველად, საბანკო სექტორი არ მოიაზრებოდა რეფორმის ნაწილად და, შესაბამისად, არ ყოფილა ჩართული ამ ეტაპზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 8

კანონპროექტის შემუშავებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულები იყვნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები. დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მთავრობის მიერ ფორმალური გამოცხადების შემდეგ საბანკო სექტორი აგრეთვე შეუერთდა პროცესს და აქტიურად იყო ჩართული. კანონპროექტის პირველი ვარიანტი მომზადდა ფინანსთა სამინისტროს მიერ და ის გამოიყენებოდა როგორც შემდგომი დისკუსიების საფუძველი. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ამ დისკუსიებს ღია პროცესის შეფასება მისცეს. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე ჩართულები იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელისუფლებიდან. კერძო სექტორის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ იყო საკმარისი დრო უფრო სიღრმისეული დისკუსიებისთვის, და ხაზი გაუსვა, რომ ფინანსთა სამინისტრო სიფრთხილეს იჩენდა საექვო დებულებების შემთხვევაში განხილვისგან ან კარგად არგუმენტირებული პასუხების გაცემისგან. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების პროცესი დაიწყო რეგულირების გავლენის სიღრმისეული შეფასების შედეგების შემდეგ. თუმცა, კერძო სექტორის წარმომადგენლის მიხედვით, რეგულირების გავლენის შეფასების შედეგები განხილული იყო მთავრობის შიგნით და კანონპროექტზე მუშაობის დროს მასზე ხელი არ მიუწვდებოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს.

3. რეგულირების გავლენის შეფასება - 8

რეგულირების გავლენის სიღრმისეული შეფასება მომზადდა შესაბამისი ექსპერტების მიერ, პროცესში ასევე ჩართულები იყვნენ ესტონელი ექსპერტები. რეგულირების გავლენის შეფასების შედეგები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. რეგულირების გავლენის შეფასებაში განხილული და შეფასებულია პოლიტიკის ალტერნატივები. რეგულირების გავლენის შეფასების შედეგები გათვალისწინებულ იქნა გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ, თუმცა ზოგიერთ რისკზე პასუხი არ ყოფილა სათანადოდ გაცემული. რეგულირების გავლენის შეფასება მომზადდა კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე და წარმოადგენდა საფუძველს კანონპროექტის წერის პროცესისთვის. თუმცა, რეგულირების გავლენის შეფასების შედეგები წარედგინა ფინანსთა სამინისტროს და შემდეგ ამ შედეგების განხილვა მოხდა მთავრობის შიგნით. ჩატარდა საჯარო დისკუსია, რომელიც მოიცავდა დაინტერესებულ მხარეებს, თუმცა, ზოგიერთ ჩართულ დაინტერესებულ მხარეს (მაგ. ბანკებს) არ ჰქონდა ინფორმაცია რეგულირების გავლენის შეფასების შედეგების შესახებ.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 9

კანონპროექტის მომზადების წინა ეტაპებზე გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებს, ისევე როგორც დამატებით დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ წვდომა კანონპროექტის საბოლოო ვერსიაზე პარლამენტში ინიცირებამდე. ამ ეტაპზე მოეწყო კანონპროექტის განსახილველი რამდენიმე შეხვედრა და დისკუსია. მიღებული კომენტარები განიხილებოდა და ხდებოდა დასაბუთება მათი გათვალისწინების ან უარყოფის შესახებ. თუმცა, ისევე როგორც კანონპროექტის წერის ეტაპზე, ამ ეტაპზეც კერძო სექტორის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ იყო საკმარისი დრო სიღრმისეული დისკუსიისთვის.

A.7 07-2/432 „გადახდისუნარიობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (მოვალეს შეუძლია მოითხოვოს რეაბილიტაცია ან განაცხადოს გაკოტრების შესახებ)

კანონპროექტის შესახებ

სამართლებრივი ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში. შეფასება ეფუძნება ინფორმაციას, რომელიც მიღებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან, ორი იურიდიული ფირმის დამოუკიდებელი ექსპერტებისგან და ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლისგან. უნდა აღინიშნოს, რომ IDFI მნიშვნელოვან პრობლემებს წააწყდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან წარმომადგენლებთან ინტერვიუს დაგეგმვის პროცესში.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი - 2

კანონპროექტის ინიციატორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე კერძო სექტორის კარგი ჩართულობა იყო; თუმცა, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. კერძო სექტორის სამი დამოუკიდებელი წარმომადგენლიდან არც ერთმა არ დაადასტურა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია პოლიტიკის შემუშავების პირველი ეტაპის შესახებ, ან იყვნენ მიწვეულები.

ამას გარდა, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს საუბარი რაიმე სახის წინასწარ ანალიზზე, ან პოლიტიკის დოკუმენტზე, რაც შემუშავებული იქნებოდა ამ ეტაპზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 6

შესაბამისი დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპზე მას შემდეგ, რაც კანონპროექტის პირველი ვარიანტი მომზადდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ. თუმცა, ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ისინი არ ყოფილან მიწვეულნი კანონპროექტის შემუშავების ეტაპზე და კანონპროექტის შესახებ მხოლოდ მესამე მხარისგან შეიტყვეს, კანონპროექტის მომზადების შემდეგ. კერძო სექტორის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ კანონპროექტის შემუშავების ეტაპზე სამუშაოდ, არაერთგვაროვანი შეფასება მისცეს საკუთარი ჩართულობის ხარისხს. ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ ჩართულობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, არ ხდებოდა უარყოფილი კომენტარების დასაბუთება და არ ყოფილა მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, კერძო სექტორის მეორე წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მათი კომენტარების განხილვა, ისევე როგორც კომუნიკაციის ხარისხი საკმარისი იყო. თუმცა, უკანასკნელ შემთხვევაში შეხვედრები მხოლოდ აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ტარდებოდა. კანონპროექტის შემუშავების ეტაპზე ჩართულნი იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები მთავრობიდან. იმ ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელიც კი, რომლებიც დადებითად აფასებენ საკუთარ ჩართულობას, აღნიშნავენ, რომ მათთვის უცნობი იყო კანონპროექტის დაწერამდე რაიმე ანალიზის არსებობის შესახებ.

3. რეგულირების გავლენის შეფასება - 1

რეგულირების სიღრმისეული შეფასება არ ჩატარებულა. ასევე არ ყოფილა ნახსენები რაიმე სახის ფინანსური ანალიზი (მაგ. შიდა ანალიზი). განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტს აქვს გარკვეული გავლენა ბიუჯეტზე.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან - 6

კანონპროექტის შემუშავების წინა ეტაპებზე გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა კანონპროექტის საბოლოო ტექსტზე პარლამენტში ინიცირებამდე. უფრო ფართო საზოგადოებას (არა მხოლოდ იმ დაინტერესებულ მხარეებს, ვინც ჩართული იყო ადრეულ ეტაპებზე) ჰქონდა დოკუმენტზე წვდომა კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე, ზოგ მათგანს მესამე მხარის დახმარებით, ზოგს კი პირდაპირ სამინისტროსგან. შესაბამისი დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ საშუალება დაეტოვებინათ კომენტარები კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე. ამ ეტაპზე არ ჩატარებულა საჯარო დისკუსიები ან შეხვედრები. გადახდისუუნარობის საკითხზე მომუშავე ერთ-ერთი იურიდიული ასოციაციის მიხედვით, იმის გამო, რომ ისინი არ ყოფილან ჩართულნი კანონპროექტის მომზადების პირველ ეტაპებზე და არ მიუღიათ ინფორმაცია პირდაპირ სამინისტროდან, ამ ეტაპზე მათ აღარ ჰქონდათ მოტივაცია ჩართულიყვნენ პროცესში. ამ ეტაპზე არ ყოფილა მიღებული კომენტარების განხილვის ნათელი პროცესი.

A.8 07-2/447 „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (მცირე აქციონერთა დაცვა)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტი „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში 2016 წლის 26 იანვარს. ცვლილებების მიღების მიზანია მცირე აქციონერთა (აქციათა 5%-მდე მფლობელი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის) უფლებების უკეთესი დაცვა და ამ მიზნით რიგი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება. კანონპროექტის ერთ-ერთი მიზანია საწარმოთა გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილების ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 8

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე ჩართული იყო დაახლოებით ორი ათეული ბიზნეს ასოციაცია, მათ შორის საფონდო ბირჟის წარმომადგენლები. შესაბამისი დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმულ იქნა საკუთარი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრებები განიხილებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. სამინისტროში არ ყოფილა ჩამოყალიბებული რაიმე კონკრეტული პროცედურა აღნიშნული კომენტარების განხილვის მიზნით. მოცემულ ეტაპზე მომზადდა აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი არსებული კანონმდებლობის შეფასებისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების დოკუმენტი. აღნიშნულს შიდა სამუშაო დოკუმენტის სახე ჰქონდა და არ ყოფილა საჯაროდ ხელმისაწვდომი. მინისტრის მოადგილე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 7

კანონპროექტის ტექსტზე მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში. პროცესში ჩართულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებები. პროცესში კერძო სექტორის შესაბამისი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო კანონპროექტის სამუშაო ვერსიების მათთვის სისტემატიური გაზიარებით ელ-ფოსტის საშუალებით და მათგან კომენტარების მიღებით. გადაწყვეტილება კომენტარების მიღების ან უარყოფის შესახებ მიიღებოდა სამინისტროში.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 1

რეგულირების გავლენის შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი არ მომზადებულა. მიუხედავად ამისა, განმარტებითი ბარათი შეიცავს ზოგად ინფორმაციას კანონპროექტის ბიუჯეტზე შესაძლო გავლენის შესახებ.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 4

კანონპროექტის სამუშაო ვერსია ელ-ფოსტის საშუალებით გავრცელდა იმ დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პოლიტიკის შემუშავებისა და კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპებზე. ფართო მასშტაბიანი საჯარო დისკუსია არ გამართულა. გადაწყვეტილებას მიღებული კომენტარების გათვალისწინების შესახებ იღებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

A.9 07-2/474 „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

კანონპროექტის შესახებ

ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი მომზადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ და ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში 2016 წლის აპრილს. „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტმა 2016 წლის ივნისში მიიღო. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, დღესდღეობით საქართველოში არსებული ინოვაციის მაჩვენებელი არის დაბალი და არ შეესაბამება გლობალურ სტანდარტებს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო 2020“, მთავრობამ გამოხატა ნება, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნაში ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ განვითარებას კერძო სექტორის განვითარების, კვლევითი პროცესების ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯს „საქართველო 2020“ სტრატეგიის მიზნების მიღწევისკენ. იმისთვის, რომ შეგვესწავლა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების პროცესში კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ხარისხი, პროექტის გუნდმა ინტერვიუ ჩაატარა სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილესთან.

2015 წლის მარტს, მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის სასესხო ხელშეკრულება - ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი (GENIE).³ პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას კომპეტენტური და ინოვაციური ეკონომიკური გარემოს შექმნის პროცესში, რომელიც მზად არის მომავალის გამოწვევებისთვის. „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობის პროცესი, ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბებიდან კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის ეტაპის ჩათვლით, ხელშეწყობილი იყო მსოფლიო ბანკის მიერ.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 9

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე ჩართულნი იყვნენ, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ექსპერტები. მსოფლიო ბანკის მიერ მომზადდა ინოვაციების შესახებ რეკომენდაციების სამუშაო ვერსია. გაიმართა არა ერთი საჯარო დისკუსია და შეხვედრა. პროცესში უზრუნველყოფილი იყო სფეროს ექსპერტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების ჩართვა.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი – 9

„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ტექსტზე მუშაობდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამართეს რამდენიმე შეხვედრა კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან. პროცესში ჩართულ პირებს განემარტებოდათ მათი მოსაზრებების მიღების ან უარყოფის მიზეზები.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 3

კანონპროექტის ავტორის მიერ არ მომზადებულა სრულყოფილი რეგულირების გავლენის შეფასება. აღნიშნულის ძირითად მიზეზად დროის ნაკლებობა დასახელდა; საქართველოს მთავრობას რჩებოდა ცოტა დრო იმისთვის, რომ მიეღო „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3251460>

მიუხედავად ამისა, განმარტებითი ბარათი შეიცავს მოკლე შეფასებას კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ საქართველოს ბიუჯეტზე. აღნიშნული გავლენის შესწავლის მიზნით სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რის შედეგადაც მომზადდა შიდა სამუშაო დოკუმენტი კანონპროექტის გავლენის შესაფასებლად ბიუჯეტის ხარჯვით და საშემოსავლო ნაწილებზე.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 9

კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე ჩატარდა რამდენიმე საჯარო დისკუსია მისი ტექსტის განხილვისა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით. საჯარო დისკუსიები ორგანიზებულ იქნა USAID-ის მიერ. მოცემულ ეტაპზე ჩართული იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. კანონპროექტის ავტორებმა მიიღეს რამდენიმე კომენტარი აკადემიური წრეებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან. კომენტარების ავტორებს განემარტებოდათ მათი მოსაზრებების მიღების ან უარყოფის მიზეზები.

A.10 07-3/586 7 კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე (აქციზის გადასახადი მობილურ კომუნიკაციაზე)

კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მიზანია აქციზის გადასახადის შემცირება მობილურ კომუნიკაციაზე და ამ მხრივ კომუნიკაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

1. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი – 6

ცვლილების ინიციატორი იყო კერძო სექტორის წარმომადგენელი. კანონპროექტის ავტორის, პარლამენტის წევრ ზურაბ ტყემალაძის მიხედვით, კანონპროექტის ტექსტის დაწერამდე მიმდინარეობდა აქტიური დისკუსია კერძო სექტორთან. არ ჩატარებულა საჯარო დისკუსიები, თუმცა ამ ეტაპზე ჩატარდა შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე ჩართულები იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები მთავრობიდან. ჩატარდა პრობლემის გარკვეული წინასწარი შეფასება, თუმცა შედეგები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ამას გარდა, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა წარადგინეს ცვლილებასთან დაკავშირებული საკუთარი მონაცემები. ინიცირებული ცვლილებების შესახებ არ ჩატარებულა უფრო ფართომასშტაბიანი დისკუსია სხვა დაინტერესებული პირებისთვის ან ექსპერტებისთვის. არ არსებობდა მიღებული კომენტარების განხილვის ნათელი პროცესი. ამ ეტაპზე არ მომზადებულა პოლიტიკის დოკუმენტი.

2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი - 1

კანონპროექტის ტექსტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო მხოლოდ ბიზნეს ომბუდსმენი. კანონპროექტის ავტორის მტკიცებით, კერძო სექტორის წარმომადგენლები გამოხსულად არ ყოფილან მიწვეულნი, იმისათვის რომ ვინმეს აღნიშნული ცვლილებები არ დაეკავშირებინა წინასაარჩევნო კამპანიასთან. კანონპროექტის წერისთვის არ შექმნილა კომისია ან სამუშაო ჯგუფი. ექსპერტები ან კერძო სექტორის უფრო ფართო წარმომადგენლები ჩართულები არ ყოფილან.

3. რეგულირების გავლენის შეფასება – 2

ამ კანონპროექტისთვის არ მომზადებულა რეგულირების გავლენის შეფასების სიდრმისეული ანალიზი. გარკვეული, თუმცა ძალზედ მცირე ფინანსური გაანგარიშება მოცემულია განმარტებით ბარათში.

4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან – 0

კანონპროექტის ტექსტის შემუშავების შემდეგ არ ყოფილა დამატებითი მცდელობები საჯარო განხილვის ან საზოგადოების ჩართულობის მხრივ. ავტორის მიხედვით, ჩართულობა განზრახ არ ყოფილა, იმისათვის რომ ვინმეს ეს ცვლილება არ დაეკავშირებინა წინასაარჩევნო კამპანიასთან.